საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/79

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს №01-02/189 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 22 0000895778, 11.08.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს №01-02/189 ბრძანებით გამოცხადებულ ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის პირების არჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და საკონკურსო და სააპელაციო კომისიის წევრებს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**